4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

დირექტორის 2026 წლის 05 თებერვლის N2-37 ბრძანებით, განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალის პირადის საქმეების ანალიზით, გამოიკვეთა, რომ:

- რუსულ სექტორზე, დაწყებით კლასებში, საგანს „მე და საზოგადოება“ ასწავლის დაწყებითი კლასების პედაგოგი, რომლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას („ზოგადი განათლების“ შესახებ კანონი - მუხლი 21[3]; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის №108/ნ ბრძანება „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ - მუხლი 11).
- სკოლაში დასაქმებულია ექიმი და ექთანი. ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და პირადი განცხადების საფუძველზე 2026 წლის 17 ივლისიდან გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან. სკოლაში დასაქმებული ექთნის კვალიფიკაცია (წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაამათავრა სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის სკოლის მანქანაზე წერის განყოფილების სრული კურსი და მიენიჭა მდივან-მემანქანის კვალიფიკაცია. 2025 წელს გაიარა უნივერსალური ცოდნის აკადემია UNIKO – ში მედდის თეორიული და პრაქტიკული ტრენინგ-კურსი) ასევე არ შეესაბამება კანონმებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (კონკურსის ამსახველი დოკუმენტაცია, შერჩული ექიმისა და შესაბამისი მასწავლებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შრომითი ხელშეკრულება), რომელიც ადასტურებს, რომ:

- სკოლაში დასაქმდა ექიმი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღრულ მოთხოვნებს.

- სკოლაში, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მოწვეული მასწავლებლის სტატუსით, დასაქმდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა, საათობრივი დატვირთვის იმგავარად გადანაწილება, რომ საგანს „მე და საზოგადოება„ ასწავლის კანომდებლობით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე პედაგოგი.

სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთნის დასაქმებას.

შესრულების ვადა - 07.2027

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლაში გადაწყვეტილებები მიიღება სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების და კურიკულემების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. სკოლაში ფუნქციურია სტრუქტურული ერთეულები - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, რომელთა მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით, შესაძლებელია ჩატარდეს ერთობლივი შეხვედრა, ვებ გვერდზე ან სოციალურ ქსელში განთავსდეს ინფორმაცია.

ამავე დოკუმენტის თანახმად, მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს:

✓ მადლობის გამოცხადება;
✓ სიგელის გადაცემა;
✓ ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
✓ ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *შინაგანაწესი*
- *საკონკურსო დოკუმენტაცია*

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის და მათი შემდგომი მოტივაციისათვის დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება, დირექტორის მოადგილის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, პროფესიული განვითარება ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავებასა და გაუმჯობესებას. აღნიშნული გულისხმობს შემდეგ ეტაპებს: პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირება სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე; გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვა; შესაბამისი კანდიდატების შერჩევა; მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რეგულარული შეფასება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში დანერგილია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების, შეფასებისა და შემდგომი რეკომენდაციების გაცემის პრაქტიკა.

2026 წელს სკოლამ, საქმისმწარმოებლის პოზიციაზე, კონკურსის წესით შეარჩია თანამშრომელი, რომლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყო შესაბამისი ტრენინგის გავლა და დააფინანსა საქმისწარმოების მიმართულებით პროფესიული გადამზადება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის თანხმობით, უზრუნველყოს მისი მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

სამოქმედო გეგმაში ასახულია აქტივობები პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობის მიმართულებით, რაც ითვალისწინებს თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვას, მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარებას, რეკომენდაციების შემუშავებას სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, განსაზღრულია თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები, აქტივობები და ადაპტაციის მიზნით თანამშრომელთა ვალდებულებები. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. უზრუნველყოფილია მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა*

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის დირექტორის 2026 წლის 04 თებერვლის N2-34 ბრძანებით, დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლაში დანერგილია შიდა ხარისხის მართვის სისტემა და გარე ხარისხის კონტროლის სისტემა. შიდა ხარისხის მართვა ციკლური ხასიათისაა და ემყარება დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმების და განვითარების ეტაპებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის დირექტორის 2026 წლის 04 თებერვლის N2-34 ბრძანებით, დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღრულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული

მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლაში შემუშავებულია აღნიშნული პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის დირექტორის 2026 წლის 05 თებერვლის N2-36 ბრძანებით, დამტკიცებულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომლითაც განსაზღრულია სკოლაში საჩივრის/განცხადების განხილვის პრინციპები, წარდგენის წესი, განხილვის წესი და ვადები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 02 ოქტომბრის N2-462 ბრძანებით, დამტკიცებულია დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის დაცვის პოლიტიკა, რომლის ამოცანაა დისკრიმინაციისა და თანასწორობის პრინციპების დამკვიდრება, ბულინგისა და დისკრიმინაციის პრევენცია, ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უფლებებისა და ღირსების დაცვა, მრავალფეროვნების, როგორც ღირებულების აღიარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი*
- *განცხადების/საჩივრის განხილვის წესი*
- *შინაგანაწესი*
- *დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის დაცვის პოლიტიკა*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს ვებ გვერდი და გვერდი სოციალურ ქსელში. ინფორმაციულად დატვირთულია სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook). გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი სასკოლო აქტივობების, სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა, სასკოლო კლუბების წარმატებისა და მიღწევების თაობაზე.

შინაგანაწესის თანახმად, კლასის დამრიგებლებს აქვთ ვალდებულება, შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. სკოლის ყველა მასწავლებელი, მიუხედავად მათი დატვირთვისა, ვალდებულია სკოლაში იყოს ყოველ პარასკევს 13:00 საათიდან 17:00 საათამდე და მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მოსულ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მათი შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ.

რეგულარულად ტარდება პედაგოგური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს სხდომები, მშობელთა კრებები, რაც უზურნველყოფს მიმდინარე საკითხების განხილვისა და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს სამურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, რომლებიც შედგება თანაბარი რაოდენობის მშობლებისა და პედაგოგებისგან, მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც სხვა წევრებთან ერთად წარმოდგენილია მოსწავლე.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 დეკემბრის N2-865 ბრძანებით, შექმნილია კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სკოლის ექიმი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, იკვეთება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი*
- *2023 წლის 04 დეკემბრის N2-865 ბრძანება*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლამ წარმოადგინა:

- საქართველოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის თანახმად, შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა - მდგრადობა, ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, შესაძლებელია ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

- 2025 წლის 24 დეკემბრის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო - ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N61, რომელიც დათარიღებულია 2026 წლის 02 თებერვლით. მიმდინარე ეტაპზე, სკოლაში განხორციელებულია აქტით განსაზღვრული რეკომენდაციების ნაწილი. კერძოდ, განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირი, შესაბამის ადგილებში განთავსებულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის სატელეფონო ნომერი – „112“. ასევე, ცეცხლმაქრები განთავსებულია რეკომენდირებული წესის შესაბამისად, ხოლო სკოლის შენობაში, შესაბამის ადგილებზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები.

- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც 2026 წლის 02 აპრილის N1142890 წერილით, შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან.

სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი ექვემდებარება ვიდეომონიტორინგს.

სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N8 სხდომაზე დამტკიცებულია სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა. დირექტორის 2025 წლის 10 ივლისის 1/კ-25 ბრძანებით განსაზღრულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებირივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია პირები. დირქტორის 2026 წლის 10 თებერვლის N2-48 ბრძანებით არის განსაზღრული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

რჩევა:

- **მიზანშეწონილია, სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო - ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის N61 აქტის შესაბამისი რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება.**
- **მიზანშეწონილია, კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში დასაქმდეს შრომის უსაფრთოების სპეციალისტი**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით; დასაქმებულია ექიმი და ექთანი. **ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და პირადი განცხადების საფუძველზე, 2026 წლის 17 ივლისიდან, გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან. კანონმებლობით დადგენილ მოთხოვნებს არ შეესაბამება ექთნის კვალიფიკაციაც (წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაამათავრა სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის სკოლის მანქანაზე წერის განყოფილების სრული კურსი და მიენიჭა მდივან-მემანქანის კვალიფიკაცია. 2025 წელს გაიარა უნივერსალური ცოდნის აკადემია UNIKO – ში მედდის თეორიული და პრაქტიკული ტრენინგ-კურსი). 2026 წლის 18 ივნისს, სკოლამ გამოაცხადა კონკურსი სკოლის ექიმის და ექთნის შერჩევის მიზნით.**

დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების წესი.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (კონკურსის ამსახველი დოკუმენტაცია, შერჩული ექიმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია), რომელიც ადასტურებს, რომ სკოლაში დასაქმდა სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი.

სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთნის დასაქმებას.

შესრულების ვადა - 07.2027

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში დასაქმებულია ორი მანდატური. დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია პირები. სკოლის დარაჯის მიერ ხორციელდება შენობაში შემსვლელ პირთა მონიტორინგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

დირექტორის 2026 წლის N2-39 ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 02 ოქტომბრის N2-462 ბრძანებით, დამტკიცებულია დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის დაცვის პოლიტიკა, რომლის ამოცანაა დისკრიმინაციისა და თანასწორობის პრინციპების დამკვიდრება, ბულინგისა და დისკრიმინაციის პრევენცია, ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უფლებებისა და ღირსების დაცვა, მრავალფეროვნების, როგორც ღირებულების აღიარება.

თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლაში იგეგმება და ხორციელდება საქველმოქმედო პროექტები, სპორტული აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ემოციურ თვითდამკვიდრებას სასკოლო გარემოში.

სკოლასთან თანამშრომლობს სოციალური მუშაკი, რომელიც რეაგირებს წარმოქმნილ პრობლემურ გარემოებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლაში განსაზღვრულია 4 დამლაგებელი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. შრომითი ხელშეკრულების თანახმად, სკოლის ექიმი და ექთანი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიონ აღნიშნული ნორმების შესრულებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 აპრილის N2-135 ბრძანებით, დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა. აღნიშული დოკუმენტით განსაზღრულია მონაცემთა დაცვის პრინციპები, მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, მონაცემები, რომლებიც მუშავდება სკოლაში, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები. ქალაქ ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2025 წლის 25 მარტის N332837 ბრძანებით, სკოლაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების შესაბამისობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები.**

სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 აპრილის N2-135 ბრძანებით, დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომლის თანახმად, სკოლაში დასაქმებული პირები/მოსწავლეები ვალდებულნი არიან დაიცვან პერსონალური მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და სკოლის მიერ დადგენილი რეგულაცია. დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დადგენილი წესების დარღვევა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობაა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

2026 წლის 19 თებერვლის N1/კ-13 ბრძანებით, სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იმუშავებს რეკომენდაციებს, გეგმავს პრევენციულ ღონისძიებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა;*
- *სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;*

- *უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა*
- *სამედიცინო დახმარების წესი;*
- *უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის თაობაზე ბრძანება*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს ქ. ქუთაისში, გ. ერისთავის ქუჩაზე. 9424.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთვსებულია შენობა-ნაგებობა, რომლის ფართობი შეადგენს 3599.14 კვ.მ.-ს (ს/კ 03.04.29.246). შენობა სრულად არის რეაბილიტირებული; ოთხსართულიანია და მასში განთავსებულია 37 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, დირექციისთვის განსაზღვრული ოთახები, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი. საკლასო ოთახებში განთავსებულია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი შესაბამისი რაოდენობის ინვენტარი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის დირექტორის 2026 წლის 05 თებერვლის N2-38 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის დირექტორის 2026 წლის 05 თებერვლის N2-35 ბრძანებით, დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესი. დებულებით განსაზღვრულია ბიბლიოთეკით მოსარგებლე პირები, საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის, მისი დაცულობის, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადეობისთვის. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია, როგორც გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული ლიტერატურა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლაში მოწყობილია შესასვლელი პანდუსი, ადაპტირებული საპირფარეშო. საერთო სარგებლობის სივრცეები ძირითადად განთვსებულია პირველ სართულზე. ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს მეორე სართულზე.

არ არის უზრუნველყოფილი სართულებზე გადაადგილების საშუალება შშმ პირთათვის.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს შშმ პირთათვის სართულებზე გადაადგილების შესაძლებლობას.

შესრულების ვადა - 07.2028

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი და ეზო, ქმნის შესაძლებლობას როგორც საგანმანათლებლო, ისე არაფორმალური აქტივობების განხორციელებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი*
- *ბიბლიოთეკის მუშაობის წესი*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

კომპიუტერით უზრუნველყოფილია სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების სამუშაო სივრცე. კომპიუტერი და პრინტერი განთავსებულია სამასწავლებლოში. სკოლაში დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებული

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში დამტკიცებულია კომპიუტერული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერულ ტენოლოგიებზე წვდომას მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის. სასკოლო სივრცე დაფარულია უსადენო ინტერნეტით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი*
- *სკოლის ვიზუალური დათვალიერება*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის დირექტორის 2026 წლის 10 თებერვლის N2-46 ბრძანებით დამტკიცებულია საქმის წარმოების წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით - „eflow"; აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა - kutaisi13@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool; სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს საკუთარი პროფილი eschool.emis.ge-ზე. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია - მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ასახული ინფორმაცია არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის საქმისწარმოების წესი*
- *Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ გვერდი (https://shorturl.at/HjlQg) და გვერდი სოციალურ ქსელში. ინფორმაციულად დატვირთულია სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook). გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი სასკოლო აქტივობების, სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა, სასკოლო კლუბების წარმატებისა და მიღწევების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლაში დირექტორის 2026 წლის 10 თებერვლის N2-50 ბრძანებით, დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმად, დაწესებულება არ უნდა ავრცელებდეს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. ვებ-გვერდზე/სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, ჯილდოების, საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა პარტნიორობის, სხვადასხვა ორგანიზაციების წევრობის შესახებ და სხვა სახის ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს მისი გადამოწმება/დადასტურება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის თანახმად, დაწესებულების საკომუნიკაციო არხებიდან, მათ შორის, ოფიციალური სოციალური ქსელიდან შემოსულ ინფორმაციაზე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა ხდებოდეს სათანადო რეაგირება. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები, მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული დაწესებულების საქმიანობის შეფასების/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვისას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მიღებული უკუკავშირი არ არის კონსტრუქციული, შეიცავს უსაფუძვლო კრიტიკას და დამცინავ/შეურაცხმყოფელ რეპლიკებს, სკოლის ოფიციალური პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა იყოს აკადემიური.

სკოლაში დანერგილია სასკოლო გარემოს, სწავლა-სწავლების ხარისხისა და სასკოლო საზოგადოების კმაყოფილების შეფასების პრაქტიკა. სკოლა პერიოდულად ატარებს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების გამოკითხვებს. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, იდენტიფიცირდება არსებული საჭიროებები და განისაზღვრება რეკომენდაციები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ გვერდი (https://shorturl.at/HjlQg), რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. თუმცა, სკოლაში ფუნქციონირებს რუსული სექტორი, რომელზეც სწავლება ხორციელდება რუსულ ენაზე. **ვებ გვერდზე ინფორმაცია რუსულ ენაზე განთავსებული არ არის.**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის თანახმად, სკოლამ უზრუნველყო ვებ გვერდზე ინფორმაციის რუსულ ენაზე განთავსება.

სკოლის ვებ გვერდის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ ინფორმაცია განთავსებულია როგორც ქართულ, ასევე იმ ენაზე (რუსულ ენაზე), რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი*
- *სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ამსახველი მასალები*
- *სკოლის ვებ გვერდის ვიზუალური დათვალიერება*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსებით. თუმცა, აქვს დამატებითი შემოსავალი იჯარის საფუძველზე. ძირითადი ფინანსური რესურსი იხარჯება დასაქმებულთა შრომით ანაზღაურებაზე, ასევე მატერიალური რესურსების შესყიდვაზე. სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების უზრუნველყოფა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დამტკიცებულია შესყიდვების წესი. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესყიდვების გეგმა. შესყიდვის განხორციელების წინ ხდება **ბაზარზე არსებული ფასების კვლევა.** სკოლის დირექტორი დეკემბერში ანგარიშით წარდგება სამეურვეო საბჭოს წინაშე. კალენდარული წლის ბოლოს შედგენილია ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;*
- *ბიუჯეტის ცვლილების შესახებ სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;*
- *10 დეკემბრის ანგარიში ფინანსური საქმიანობის შესახებ;*
- *წლიურის შესყიდვების გეგმა;*
- *შესყიდვების წესი*
- *შესყიდვების გეგმის კორექტირების შესახებ ბრძანება*
- *ბაზრის კვლევის შესახებ დოკუმენტაცია*

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. კლასის დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას, შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 02 ოქტომბრის N2-462 ბრძანებით, დამტკიცებულია დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის დაცვის პოლიტიკა, რომლის ამოცანაა დისკრიმინაციისა და თანასწორობის პრინციპების დამკვიდრება, ბულინგისა და დისკრიმინაციის პრევენცია, ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უფლებებისა და ღირსების დაცვა, მრავალფეროვნების, როგორც ღირებულების აღიარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და სკოლის შენობაში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე. კლასის დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას, შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი*
- *დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის დაცვის პოლიტიკა*
- *მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის დირექტორის 2026 წლის 10 თებერვლის N2-47 ბრძანებით, დამტკიცებულია სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსი შეჩერებისა და აღდგენის წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის დოკუმენტაციის და eschool - ის ბაზის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. უზრუნველყოფილია შინაგანაწესის საჯაროობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ვებ გვერდისა და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსი შეჩერება აღდგენის წესი*
- *სკოლის შინაგანაწესი*
- *Eschool ში სკოლის პროფილის დათვალიერება*
- *სკოლის ვებ გვერდი*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის დირექტორის 2026 წლის 10 თებერვლის N2-49 ბრძანებით, დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტით, განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი

ფაქტორები. გათვალისწინებულია პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, მობილობით გადმოსული მოსწავლის, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაცია; წარმატებული ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლაში შემუშვებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესის თანახმად, სკოლას აქვს მზაობა და შესაძლებლობა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზით იკვეთება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით დადგენილი და რეგულირებულია სემესტრული ქულის ამაღლების მექანიზმი. საშემოდგომო გამოცდის შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს რემედიაციის პროგრამის შემუშვებას მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით. თუ მოსწავლეს სხვადასხვა მიზეზის გამო აქვს სწავლაში, შეფერხება სკოლა სთავაზობს რემედიაციას, მიზნობრივი აქტივობების საშუალებით არსებული პრობლემის შემცირებას ან სრულად. გადაჭრას რემედიაციის პროგრამაში ასევე, ჩაერთვებიან ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლის პროცესში აწყდებიან ისეთი ტიპის სირთულეებს, როგორიცაა არასაკმარისი სასკოლო მზაობა, წაკითხულის გააზრება და სხვა. სარემედიაციო პროგრამის სამიზნე ჯგუფში არ შედიან ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. რემედიაციის პროგრამა იქმნება კონკრეტული მოსწავლის საჭიროების მიხედვით.

მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლები მათთვის უზრუნველყოფენ დამატებით მეცადინეობას, აკადემიური ჩამორჩენის პრევენციის მიზნით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს რემედიაციის პროგრამას; ექსტერნის გამოცდის ჩატარებამდე, სკოლა უზუნველყოფს კონსულტაციას გამოცდაზე დარეგისტრირებული მოსწავლეებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იკვეთება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით დარეგულირებულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადების, სემესტრული გამოცდის საკითხი. მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებლებისგან მიღებული აქვთ ინფორმაცია აღნიშნული საკითხის თაობაზე.

მოსწავლის მობილობის შემთხვევაში, სკოლა ღებულობს ზომებს მოსწავლისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სასკოლო სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული ის დამატებითი და არაფორმალური აქტივობები, რომლებსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს. სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები, რომელთა საქმიანობა წარიმართება სკოლაში დასაქმებული სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. მათი ჩართულობით უზრუნველყოფილია მოსწავლეების დახმარება არაფორმალური აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელების მიმართულებით.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 10 თებერვლის N2-51 ბრძანებით, დამტკიცებულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი, რომლითაც განსაზღვრულია ინიციატივების წარდგენის მექანიზმი. სკოლის დირექცია განიხილავს მათ ინიციატივებს, მოსაზრებებს და, შესაძლებლობის ფარგლებში, ცდილობს დააკმაყოფილოს ისინი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში დანერგილია სასკოლო გარემოს, სწავლა-სწავლების ხარისხისა და სასკოლო საზოგადოების კმაყოფილების შეფასების პრაქტიკა. სკოლა პერიოდულად ატარებს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების გამოკითხვებს. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, იდენტიფიცირდება არსებული საჭიროებები და განისაზღვრება რეკომენდაციები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სასკოლო სასწავლო გეგმით, გათვალისწინებულია აქტივობები პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით, რომლის მიზანია მოსწავლეთა ინფორმირება საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ, მათი აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილებების მიღების თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებით დასტურდება, რომ დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეებთან განიხილავენ აღნიშნულ საკითხებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლაში იწვევენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს, რომლებიც უშუალოდ აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ასევე, დამრიგებლის დახმარებით, ხორციელდება სხვადასხვა უნივერსიტეტში მოსწავლეთა ვიზიტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა კარიერული განვითარების და პროფესიული ორიენტაციის უზრუნველყოფის პროცესში, სკოლის ფუნქციის განსაზღვრისა და მოსწავლეთა პროფესიული თვითგამორკვევის თვალსაზრისით, სკოლის მიერ განხორციელებული კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, სკოლამ ჩაატარა კვლევა - მოსწავლეთა გამოკითხვა, და მიღებული შედეგები ანალიზის საფუძველზე შეიმუშვა რეკომენდაციები მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *დამრიგებლის პორტფოლიო*
- *კითხვარი*
- *გამოკითხვის შედეგების ანალიზი*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმებს, რომლებიც მოიცავს სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირების პროცესს, ისგ ჯგუფის ფორმირებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებელი, შესაბამისი საგნების მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები და მოსწავლის მშობელი. სკოლაში ასევე შემუშავებულია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი.

გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს შესაბამისი ინვენტარითა და სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფილი რესურსოთახი, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობასა და მხარდაჭერას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობისა და საგანმანათლებლო პროცესში შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელი. შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი საგნის მასწავლებლები, კლასის დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი და მოსწავლის მშობელი. თანამშრომლობით იგეგმება და მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ეფუძნება თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. ამასთან, სკოლაში ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ისგ-ის განხორციელების პროცესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *ისგ - ჯგუფის მუშობის ამსახველი დოკუმენტაცია*
- *მონიტორინგის შედეგები*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში, სამეურვეო სამჭოსთან შეთანხმებით და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, ნებადართული საქმიანობების განხორციელების მიზნით, იჯარის წესით გაცემულია ფართი კვების ობიექტის და ფეხბურთის წრის ფუქნციონირების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში ფართი იჯარით არის გაცემული სამეურვეო სამჭოსთან შეთანხმებით და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, ნებადართული საქმიანობების განხორციელების მიზნით. საიჯარო მომსახურების გაწევა ხდება მშობლებსა და მოიჯარეს შორის ნებაყოფლობით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში, სამეურვეო სამჭოსთან შეთანხმებით და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, ნებადართული საქმიანობების განხორციელების მიზნით, იჯარის წესით გაცემულია ფართი კვების ობიექტის და ფეხბურთის წრის ფუქნციონირების მიზნით.

იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარე ვალდებულია მკაცრად დაიცვას ხანძარსაწინააღდეგო და სხვა ტექნიკური უსაფრთხოების წესები, სანიტარული მოთხოვნები, საიჯარო ფართში არსებული საინჟინრო და კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლუატაციის წესები. კვების ობიექტის მონიტორინგს ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი მონიტორიგნის ჯგუფი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *იჯარის ხელშეკრულებები*
- *დირექტორის 2023 წლის 04 დეკემბრის N2-865 ბრძანება*

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი **(დაწყებითი საფეხური - ქართული სექტორი)**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** **(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)**
სასკოლო კურიკულუმი **(საბაზო საფეხური - ქართული სექტორი)**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** **(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)**
სასკოლო კურიკულუმი **(საშუალო საფეხური - ქართული სექტორი)**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(დაწყებითი საფეხური - -რუსული სექტორი)**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** **(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)**
სასკოლო კურიკულუმი **(საბაზო საფეხურიც - რუსული სექტორი)**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი **(საშუალო საფეხური - რუსული სექტორი)**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას,დირექტორის (N 2-55 10.02.2026 წლის) ბრძანებით დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ფუნქციები, პრიორიტეტები და შეხედულებები. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლებისა და ადმინისტრაციის ჩართულობით. სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები. სამივე საფეხურის კათედრის პედაგოგები , ორივე სექტორზე (ქართული და რუსული) ,შეძლებისდაგვარად იაზრებენ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავების სტრუქტურასა და პრინციპებს. კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ, სასკოლო სასწავლო პროგრამების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლამ, ქართულ და რუსულ სექტორზე წარმოადგინა კურიკულუმები. აღნიშნული საგნობრივი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითა და არსებული პრაქტიკის, განხორციელებული აქტივობების გათვალისწინებით. პედაგოგებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა,

რომ შემოქმედებითი ბუნების დავალებების შერჩევის დროს მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, უნარებსა და შესაძლებლობებს, ასევე ასაკობრივ თავისებურებებს. რუსულ სექტორზე მასწავლებლები ადგენენ ტექსტების მოდიფიცირებას და შეაქვთ კლასებში მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით.სკოლაში ორივე სექტორზე(ქართული და რუსული სექტორი)გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ ქუთაისის N13 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე სასკოლო საზოგადოების მიერორივე სექტორზე შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები. სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება პროცესის შეჯამება და გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ,მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით ახალი საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრების ყველა წევრი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის დახვეწა. კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, რას საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარონ მოსწავლეთა მიღწევები, საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილი ასახონ კურიკულუმებში. შემუშავების პროცესზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო კურიკულუმი ,ორივე სექტორისათვის,გაზიარებული და გათავისებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრის თავმჯდომარეები, მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო კურიკულუმისა შემუშავებისა და დახვეწის პროცესში. კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების

ნებისმიერი წევრისთვის და როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სასკოლო კურიკულუმი საჯაროა და გაზიარებულია მოსწავლეებთან. კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, ასახულია სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები, ასევე გათვალისწინებულია პროექტული ტიპის დავალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმის შემუსავების მეთოდოლოგია
საგნობრივი კურიკულუმები
კათედრის ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ორივე სექტორის მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. აქტივობების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები და ინტერესები. გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სწავლის მიზნები ძირითადად ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად.

	რჩევა: სასურველია, განსაკუთრებით-ბიოლოგიასა და ქიმიაში ,მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაიგეგმოს სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გაკეთდეს პრაქტიკულ სამუშაოებზე- საბაზო და საშუალო საფეხურზე, ორივე სექტორზე. **სკოლას აქვს ლაბორატორია,კურიკულუმებში წარმოდგენილი პრაქტიკული სამუშაოებისთვის საჭირო ინვენტარი (ჭურჭელი, რეაქტივები ხელსაწყოები). პედაგოგები ასევე იყენებენ თვალსაჩინოებას ელ. რესურსების, პლაკატების, მულაჟების სახით. სასურველია გაკვეთილებზე გამოყენებული იყოს მარტივი, უსაფრთხო ექსპერიმენტები, მეტი ყურადღება დაეთმოს კეთებით სწავლას.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა ორივე სექტორის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. შუალედური მიზნები, ანუ კომპლექსური ბუნების დავალებები საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია და კავშირშია სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან, სავალდებულო თემებთან და რესურსებთან. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. **რჩევა: სასურველია, ორივე სექტორის საბაზო საფეხურის გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმებს დაემატოს კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა ნაბიჯ-ნაბიჯ დამუშავებით, მოხდება გრძელვადიან მიზნებსა და მის შედეგებზე გასვლა.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრამ, ორივე სექტორზე, სამივე საფეხურისთვის წარმოადგინა მთელ სასწავლო წელზე გაწერილი თემატური კურიკულუმის ჩარჩოები. დოკუმენტაციის ანალიზითა და ინტერვიუებით დასტურდება, რომ კათედრას აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მკაფიო ხედვა. კურიკულუმი უზრუნველყოფს

	სწავლების ლოგიკურ თანმიმდევრობას, რაც ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას. მასში გათვალისწინებული აქტიური სწავლების მეთოდები კი ორიენტირებულია მოსწავლეთა ჩართულობის ზრდასა და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაზე. უცხოური ენების კათედრამ, ორივე სექტორზე, სამივე საფეხურისთვის წარმოადგინა მთელ სასწავლო წელზე გაწერილი თემატური კურიკულუმის ჩარჩოები. დოკუმენტაციის ანალიზითა და ინტერვიუებით დასტურდება, რომ კათედრას აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მკაფიო ხედვა. კურიკულუმი უზრუნველყოფს სწავლების ლოგიკურ თანმიმდევრობას, რაც ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას. მასში გათვალისწინებული აქტიური სწავლების მეთოდები კი ორიენტირებულია მოსწავლეთა ჩართულობის ზრდასა და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაზე. **რჩევა: სასურველია, ორივე სექტორზე, საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, სრულყოფილად გაიწეროს კურიკულუმის ჩარჩო- ცხრილები: სამიზნე ცნების ქვეცნებები დაკონკრეტდეს თემასთან და ძირითად საკითხთან მიმართებით. შეირჩეს მოსწავლეთა ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომი კონტექსტმაგალითები, რომელთა განხილვა-გაანალიზება სამიზნე ცოდნის - ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების მნიშვნელობის გაგებამდე მიიყვანს მოსწავლეს. კონკრეტულ სამიზნე ცოდნასთან მიმართებით რამდენიმე კონტექსტმაგალითი გამოიყენონ. სასურველია, კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს პროექტებით სწავლება, რომელიც ხელს შეუწყობს სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ ესთეტიკის კათედრაზე ორივე სექტორზე ხდება შემუშავებული კურიკულუმების ანალიზი. კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ასევე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები.

	კურიკულუმები მიემართება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული შედეგებისკენ. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთ თემებსა და აქტივობებს, რაც ერთი მხრივ სავალდებულოა, მეორე მხრივ კი მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება. შესაბამისად, ესთეტიკის მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე და მის განვითარებაზე. **რჩევა: სასურველია, ორივე სექტორის დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმები გაიწეროს ერთნაირ ფორმაში.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	ორივე სექტორის სამივე საფეხურის ყველა კლასისთვის წარმოდგენილი აქვთ საგნობრივი კურიკულუმები და ასახულია დავალებები, რომლებიც შემეცნებით-შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას მოითხოვს. წარმოდგენილი აქვთ შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესის ამსახველი მასალა, მონახაზი (თითო საფეხურისთვის თითო), რომელიც აჩვენებს, რამდენად ითვალისწინებენ საგანმანათლებლო პრინციპებს. სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ცოდნა-გამოცდილების გააქტიურებას ეფუძნება. მიზანმიმართულად შერჩეული სხვადასხვა რესურსი და აქტივობათა თანმიმდევრობა სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში სასწავლო მიზნის მიღწევის _ მოსწავლეთა აქტიური ჩართვისა და განვითარების _ შესაძლებლობას ქმნის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ, ორივე სექტორის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, საკითხებით/საკითხთა კლასტერით დაფარულია ყველა სავალდებულო თემა. სამიზნე ცნებებთან მიმართებით, დაზუსტებულია შუალედური დავალებები და რესურსები. შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის და შესაძლებლობების შესაბამისად. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს

	ეძლევა შესაძლებლობა, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. **რჩევა: სასურველია, მე-11 კლასის კურიკულუმში, ორივე სექტორზე დაემატოს საკითხები: სინუსების თეორემა, კოსინუსების თეორემა.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე, ორივე სექტორზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. ორივე (ქართულ და რუსულ) სექტორზე შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. ორივე სექტორზე წარმოდგენილ კურიკულუმში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. გამოიკვეთა,რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას ,ორივე სექტორზე დაწყებით საფეხურზე, ოთხივე საგანში (ბუნებისმეტყველება,ქართული,მათემატიკა,მე და საზოგადოება) შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმების ჩარჩოებში ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შესაბამისად კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. აღნიშნეს რომ ინტერვიუს დროს მიღებულ რჩევებს კურიკულუმთან დაკავშირებით შემდგომში აუცილებლად გაითვალისწინებენ. ინტერვიუს დროს მიღებული რიგი რჩევები კურიკულუმთან დაკავშირებით გაითვალისწინეს ვიზიტის შემდგომ გადმოგზავნილ კურიკულუმებში. **რჩევა: სასურველია, ორივე სექტორზე, ყველა საგნის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნეს გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი.. რესურსები იყოს უფრო მრავალფეროვანი.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ორივე სექტორზე,საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე,კათედრის შეხვედრებზე ხდება სხვადასხვა პროცესების გაანალიზება და შემდეგ გათვალისწინება. შეესაბამება ეროვნულ სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ორივე სექტორის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია სამიზნე ცნება, თემა, საკითხი/საკითხთა კლასტერი,კონტექსტ-მაგალითი,დავალების იდეა/მიზანი, რესურსები. გადმოგზავნილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ ისინი კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, ახორციელებენ საინტერესო პროექტებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს. კათედრის ორივე სექტორის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი პროექტები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ორივე სექტორის სამივე საფეხურის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი სტრუქტურირებულია თემატური ბლოკების მიხედვით, სადაც გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების საფუძველზე მუშავდება საფეხურებრივი შედეგები. კურიკულუმში ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციებისა და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების ეტაპობრივ განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმების შემუშავებისას ორივე სექტორზე , სამივე საფეხურზე გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი (ხელოვნება–მუსიკა) სტანდარტების მისაღწევი შედეგები. კურიკულუმებში გათვალისწინებული და გაწერილია ესთეტიკის მიმართულების საგნების სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. შერჩეული შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს შესაბამის სამიზნე ცნებებზე გასვლას. შესაბამისად, კურიკულუმები მიემართება ესგ–ით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია, რომელ სამიზნე ცნებებს ააქტიურებს თითოეული დავალება. შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებაა

	და მთლიანობაში გრძელვადიან მიზნებს მიემართება. შეფასების რუბრიკებშიც განსაზღვრულია ის მიზნები და შედეგები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება დავალება. **რჩევა: ეთნიკური უმცირესობების ენის სწავლების პროცესში, მოსწავლეთა სამოქალაქო ინტეგრაციისა და კულტურათაშორისი კომპეტენციების გაძლიერების მიზნით, მიზანშეწონილია სასწავლო პროცესში პარალელების გავლება ქართულ მწერლობასთან. კერძოდ, ინტეგრირებული და კომპლექსური მიდგომა: სასწავლო კურიკულუმში (შესაბამის თემატურ ბლოკებში) მიზანმიმართულად იქნას შეტანილი ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები (ან მათი ადაპტირებული ვერსიები). კულტურული დიალოგი: მშობლიური და სამიზნე ენების ლიტერატურული ტექსტების ურთიერთშედარება (პარალელური ანალიზი, საერთო თემებისა და მოტივების ძიება) დაეხმარება მოსწავლეებს ენობრივი კონსტრუქციების უკეთ გააზრებასა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს ენის სწავლებას არა იზოლირებულად, არამედ საერთო კულტურულ და საგანმანათლებლო კონტექსტში, რაც გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და გაამყარებს კავშირს სახელმწიფო ენასთან** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	ორივე სექტორზე, ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმებში იკვეთება კორელაცია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებთან და სამიზნე ცნებებთან. დაგეგმილი შემოქმედებითი ტიპის დავალების შინაარსი, მიზნობრივი აქტივობებისა და რესურსის შეთავაზება, მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები იძლევა მოსწავლის დაფიქრებისა და წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას. მე-7 კლასის კურიკულუმში ორივე სექტორზე კონკრეტული თემის გასწვრივ მუშავდებოდა ერთ-ერთი სამიზნე ცნება.

	მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმებში, ორივე სექტორზე შუალედურ დავალებებში და არც კონტექტს მაგალითებში, არ არის წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალება. მე-10, მე-11 და მე-12 კლასის კურიკულუმში თითქმის ყველა თემის გასწვრივ წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალება, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოცემულ კურიკულუმებზე მუშაობისას ნახეს რომ ფიზიკურად ყველა თემაზე კომპლექსური ტიპის დავალებაზე მუშაობა, ფაქტობრივად, შეუძელებელი აღმოჩნდა, მიღებული გამოცდილების საფუძველზე, მომავალში გეგმავენ, განახორციელონ მხოლოდ რამდენიმე შემოქმედებითი ტიპის დავალება, რაც გამოიწვევს კურიკულუმებში მცირე ცვლილებას. **რჩევა: სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება.** **სასურველია, მე-7 კლასის კურიკულუმში ყოველი თემაში მუშავდებოდეს სამივე სამიზნე ცნება** **სასურველია, მე-8 და მე-9 კლასების კურიკულუმში გათვალისწინებულ იქნას რამდენიმე შემოქმედებითი ტიპის დავალება** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე, ორივე სექტორზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნაზე,მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას სამივე საფეხურზე .კურიკულუმი შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტზე დაყრდნობით, ითვალისეინებს საგნის მიზნებს , შედეგებს და საგნის სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	ორივე სექტორის საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, სადაც წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში წარმოდგენილი იდეა/პირობა კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (სამიზნე ცნება, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვითაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ, ორივე სექტორზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე. ზოგიერთი კლასის კურიკულუმში თითქმის ყველა თემის გასწვრივ წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალება, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, მიღებული გამოცდილების საფუძველზე, მომავალში გეგმავენ მხოლოდ შერჩეული შემოქმედებითი დავალებები წარმოადგინონ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესის განხორციელების პერიოდში თვალსაჩინოებად სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და ელექტრონულ რესურსებს, აქვთ ცხრილები, პლაკატები(რაც ჩანს გადაღებულ ფოტო- მასალაში და წარმოდგენილ დოკუმენტაციაში) .

	აქვთ ლაბორატორია და ექსპერიმენტებისთვის საჭირო ჭურჭელი, რეაქტივები და ხელსაწყოები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების ორივე სექტორის საგნობრივ კურიკულუმებში, რესურსების სახით წარმოდგენილია ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელო და/ან განათლების სამინისტროს მიერ აღიარებული სახელმძღვანელო და დამატებითი რესურსების ბმულები. პედაგოგებს გააზრებული აქვთ თანამედროვე, სწრაფად ცვლად სამყაროში, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი, მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსების გამოყენება, ამიტომ გეგმავენ მათ დახვეწასა და გაუმჯობესებას. **რჩევა: სასურველია ორივე სექტორის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ სასწავლო რესურსებს დაემატოს მრავალფეროვანი და საინტერესო დამატებითი ციფრული რესურსების ბმულები,(სასურველია ბმულები ე.წ. „ჰიპერლინკის „ სახით იყოს წარმოდგენილი.) რომელიც მჭიდრო ურთიერთკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან და გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ორივე სექტორის უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია მოსწავლეთა ასაკისა და ენის ფლობის დონის შესაბამისი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები, ელექტრონული ბმულები), რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კათედრამ ინტერვიუს დროს ისაუბრეს მათ მიერ შექმნილ ელექტრონულ რესურსებზე, სადაც იკვეთება მიზნობრიობა და აქტუალურობა. მასალა ორიენტირებულია კონკრეტული სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე. რესურსი არის განახლებადი და მორგებული მიმდინარე საკითხებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	ორივე სექტორის ყველა საფეხურის ესთეტიკის მიმართულების კურიკულუმებში, თითოეულ სავალდებულო ბლოკში გაწერილი თემისთვის განსაზღვრულია ძირითადი საგანმანათლებლო და რიგ შემთხვევაში დამატებითი რესურსიც. უმრავლეს შემთხვევაში ეს არის გრიფირებული სახელმძღვანელო. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხშირად იყენებენ ელექტრონულ რესურსებსაც, მათ შორის ტელესკოლის რესურსებსა და სამინისტროს მიერ მიწოდებულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმძღვანელოებთან ერთად წარმოდგენილი აქვთ მრავალფეროვანი მულტიმედიური ტექსტები. საგნობრივ კურიკულუმებში ასახული ვიდეორესურსი შეთავაზებული დავალების შესაბამისადაა შერჩეული. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რუსულ სექტორზე ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებისას თავადაც ქმნიან საგანმანათლებლო რესურსებს სასწავლო ამოცანების შესაბამისად. შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესის ამსახველ მასალაში რესურსები საგანმანათლებლო პრინციპების დაცვითაა შერჩეული, რაც კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. კურიკულუმებში ასევე წარმოდგენილია დამხმარე საგანმანათლებლო სახელძღვანელოები და ციფრული რესურსები, ტელესკოლის გაკვეთილები, ხანის, იუტუბის ვიდეო რესურსები) წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების კურიკულუმში წარმოდგენილი და კათედრაზე შეთანხმებული ელექტრონული თუ მატერიალური რესურსები ხელს უწყობს სამიზნე ცნებების დამუშავებას და მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის

	შედეგების შერჩევას. თუმცა ,აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კლასის კურიკულუმში (მაგ: ორივე სექტორის მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში, ორივე სექტორში) რესურსებში წარმოდგენილია მხოლოდ სკოლის სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო. **რჩევა: სასურველია, ორივე სექტორის მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 კლასების კურიკულუმებში რესურსები უფრო მრავალფეოვანი გახადონ, გაამდიდრონ ციფრული რესურსებით.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესების დაგეგმისას ორივე სექტორის პედაგოგები ცდილობენ შეიტანონი სეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით, ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	ორივე სექტორის საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, სადაც წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში წარმოდგენილი იდეა/პირობა კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (სამიზნე ცნება, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვითაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ორივე სექტორის დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც გამოიკვეთა დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნაწილ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში არ არის ასახული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლების უმრავლესობა იყენებს სასწავლო პროცესში.

	რჩევა: სასურველია ორივე სექტორზე, ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ახორციელებს ორივე საფეხურზე დიფერენცირებულ სწავლებას. მაგალითად, სხვადასხვა აქტივობაზე მუშობისას, მასწავლებელები დავალებებს მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით ამზადებენ. სსსმ მოსწავლეებისათვის კურიკულუმის ადაპტაცია და ისგ გეგმის შემუშავება ხდება ესგ-ით მითითებულ ვადებში, ყველა წესის დაცვით. სკოლას აქვს რემედიაციის პროგრამა, რომლის დახმარებითაც მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებლები უმჯობესდება.სკოლა ასევე ინტენსიურად იყენებს მოსწავლეთა ცოდნის დიაგნოსტირებას, ავლენს მოსწავლეთა საჭიროებებს და გეგმავს შემდგომ ნაბიჯებს მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ ,წარმოადგინა ორივე სექტორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ადაპტირებული კომპლექსური ბუნების დავალებები და განმავითარებელი შეფასებები. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად თანამშრომლობენ სკოლის სპეციალურ მასწავლებელთან. მრავალფეროვანი აქტივობების და რესურსების გამოყენებით ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, სადიაგნოსტიკო შეფასებით ადგენენ მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს

	და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას. ყოველივე ეს ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ორივე სექტორის ,ყველა საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმში ძირითადად წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის აქტივობები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა ჩართულობასა და ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებაზე. ინტერვიუს თანახმად, პედაგოგები ცდილობენ სასწავლო მასალისა და მიდგომების მოდიფიცირებას კლასის საჭიროებების მიხედვით. დოკუმენტაციაში ასევე ასახულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (გრძელვადიანი/მოკლევადიანი მიზნებითა და აქტივობებით). **რჩევა: სასურველია,ორივე სექტორზე, ინკლუზიური სასწავლო პროცესის კიდევ უფრო ეფექტიანად წარმართვისა და დიფერენცირებული სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილია კათედრამ ყურადღება გაამახვილოს მრავალდონიან კომპლექსურ დავალებებზე: კომპლექსური ტიპის დავალებების დაგეგმვისას, სასურველია წინასწარ განისაზღვროს სხვადასხვა სირთულის ეტაპები და ალტერნატიული პროდუქტები, რათა თითოეულმა მოსწავლემ (მათ შორის, სსსმ და სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებმა) შეძლოს საკუთარი ენობრივი კომპეტენციისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა. სახელმძღვანელოებთან ერთად, პრაქტიკაში აქტიურად დაინერგოს მოდიფიცირებული და ვიზუალიზებული დამხმარე მასალები (აუდიო-ვიდეო რესურსები, საყრდენი სქემები, ლექსიკური ბარათები). ეს ხელს შეუწყობს კლასში არსებული ენობრივი ბარიერების ეტაპობრივ დაძლევას** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმების განხილვისა და გასაუბრების შედეგებიდან ჩანს, რომ ორივე სექტორზე სწავლების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები. ხდება მოსწავლეთა დიაგნოსტირება. მასწავლებლები დაკვირვებისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე ახდენენ მოსწავლეთა მზაობის დადგენას. აქედან გამომდინარე მოსწავლეებს მიეწოდებათ შესაბამისი სირთულის მასალა/დავალებები.

	გარდა ამისა, მასწავლებლებს სსსმ მოსწავლისთვის შედგენილი აქვთ ისგ გეგმები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და გაწერილია ისეთი დავალებები,რომელიც უზრუნველყოფს სათანადო შედეგებზე გასვლას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და უზრუნველყოფილია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. **რჩევა: ისგ გეგმების გაზიარებისას დაიცვან სსსმ მოსწავლეების კონფიდენციალურობა.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურხე საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვთ დავალებები, რომელთა განხორციელება თითოეული მოსწავლის ცოდნის დონის, შესაძლებლობის გათვალისწინებას მოითხოვს, რადგან უკვე არსებულ ცოდნაზე იგება ახალი ცოდნა. წარმოდგენილ დავალებებზე სათანადო მუშაობა სხვადასხვა მზაობის მოსწავლესთან ინდივიდუალურ მიდგომას ითვალისწინებს. წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციადან და მათთან გასაუბრებთ ირკვევა, რომ ორივე სექტორზე შემაჯამებლებისა და დიაგნოსტიკური შეფასებების საფუძველზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და ამის საფუძველზე სასწავლო პროცესების დაგეგმვა. პედაგოგებმა აღნიშნეს, მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის თავისუფლებას ან სთავაზობენ ისეთ დავალებას, რომელიც მორგებულია მათ შესაძლებლობებს. საჭიროებისამებრ ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის; კათედრას ორივე სექტორის სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვს რემედიაციული სწავლების მასალები. ასევე, წარმოდგენილია აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მასწავლებლებს შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები.

	რჩევა: სასურველია, სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების უფრო მეტად დანერგვა. მოსწაგათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრინციპები. ორივე სექტორის მე-8 და მე-9 კლასების კურიკულუმებში შეიტანონ კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ორივე სექტორში საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი ორივე სექტორის საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ჩანს, რომ წარმოდგენილია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ორივე სექტორზე ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე, ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მოსწავლეებს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტის შესაქმნელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა შეფასებას ახორციელებს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებებით. მონაცემები მუშავდება კათედრაზე და გაეცნობა სასკოლო საზოგადოებას. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით ძირითადად სამიზნე ცნებებთან მიმართებაშია. **დაწყებითი საფეხური (ორივე სექტორი):** კურიკულუმები შედგენილია ესგ-ს მიერ შემოთავაზებული თემების მიხედვით. კურიკულუმებს თან ახლავს შემოქმედებითი პროდუქტის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები., ხორციელდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. **რჩევა: სასურველია , კურიკულუმებში (ორივე სექტორი) ბმულები ე.წ. „ჰიპერლინკის „ სახით იყოს წარმოდგენილი.** **საბაზო საფეხური :** **ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა**-კურიკულუმები შედგენილია ესგ-ს მიერ შემოთავაზებული თემების მიხედვით. კურიკულუმებს თან ახლავს შემოქმედებითი პროდუქტის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები ერთი თემის მიხედვით. ხორციელდაბა მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. **რჩევა: სასურველია,კურიკულუმებში ყველა თემაში საბაზო საფეხურისთვის განსაზღვრული სამიზნე ცნებები დამუშავდეს (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია-ორივე სექტორი). სასურველია, მაკაფიოდ ჩანდეს, რომელ შემოქმედებით პროდუქტს შექმნის მოსწავლე. მაგ.მე-8 კლასი**

	ბიოლოგია-რუსული სექტორი-პირველ და მეორე თემაში არ ჩანს, რომელ შემოქმედებით პროდუქტზე იმუშავებს მოსწავლე. საშუალო საფეხური ბიოლოგია (ქართული სექტორი): რჩევა: ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა იყოს დამუშავებული, მაგ.მე-11 კლასის კურიკულუმში მეორე თემაში სამიზნე ცნება-ჯანმრთელობა და დაავადება- არ არის განხილული. სასურველია ჩანდეს, რომელ შემოქმედებით პროდუქტზე იმუშავებს მოსწავლე. კურიკულუმს ეწეროს წელი .მაგ.მე-12 კლასი-ბიოლოგია-კურიკულუმს არ აწერია წელი, არ არის მითითებული, რომელი სახელმძღვანელოთი ხელმძღვანელობს სკოლა. მეორე თემაში არ ჩანს, რომელ შემოქმედებით პროდუქტს შექმნის მოსწავლე. ანალოგიურად რუსული სექტორის კურიკულუმებშიც, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს, ჩანდეს, რომელ შემოქმედებით პროდუქტს შექმნის მოსწავლე. მაგ. ბიოლოგია: მე-11 კლასის კურიკულუმს წელი არ აწერია, მეორე თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. მე-12 კლასი- კურიკულუმს წელი არ აწერია. არ ჩანს, რომელი შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ. ფიზიკა-მე-12 კლასი-არ აწერია წელი-ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დაუშავდეს. სასურველია, ზემოთ აღნიშნული რჩევები გათვალისწინებული იქნას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. დოკუმენტაციის განხილვისას, კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრა ინტენსიურად ახორციელებს მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შეფასება. სკოლას აქვს ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი . ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ გადმოგზავნილია ორივე სექტორის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან ჩანს ,რომ სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ახორციელებენ სადიაგნოსტიკო შეფასებას.კათედრის წევრებს კარგად აქვთ გააზრებული, შეფასების მნიშვნელობა და თვლიან რომ მომავალი სასწავლო წლისათვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უნდა დახვეწონ და გააუმჯობესონ. **რჩევა: სასურველია , საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ, ორივე სექტორზე, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე აქტიურად გამოიყენოს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლების თითოეული საგნის სტანდარტის შედეგების ინდიკატორებიდან გამომდინარეობს. ყველა სავალდებულო თემაში დასამუშავებელ კომპლექსური ბუნების დავალებას თან ახლდეს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე სექტორზე, უცხოური ენების კათედრაზე მოსწავლეთა შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებსა და საგნობრივ სტანდარტს. კურიკულუმში გაწერილია შეფასების ფორმები (დიაგნოსტიკური, განმავითარებელი, განმსაზღვრელი) და წარმოდგენილია შეფასების ზოგადი რუბრიკები. თუმცა, დოკუმენტაციის ანალიზითა და პედაგოგებთან ინტერვიუებით იკვეთება, რომ გამოწვევად რჩება კომპლექსური დავალებების შეფასების პროცესი. კერძოდ, შეფასების კრიტერიუმები ხშირად ზოგად ხასიათს ატარებს და ნაკლებად ასახავს სოლო ტაქსონომიის მიხედვით მოსწავლის მიღწევის კონკრეტულ დონეებს. მიმდინარე განმავითარებელი უკუკავშირი ზოგჯერ შაბლონურია და ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს მოსწავლისთვის მისი ძლიერი და სუსტი მხარეების მკაფიო იდენტიფიცირებას, რაც აუცილებელია ენობრივი კომპეტენციების ეტაპობრივი პროგრესისთვის.

	რჩევა: სასურველია, ორივე სექტორზე, სამივე საფეხურზე, ყველა თემის ფარგლებში, სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით, შემუშავდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. შედეგების გაუმჯობესების მიზნით გაცემული რეკომენდაციები უნდა შეესაბამებოდეს მიზნებსა და მოსწავლეთა ენის ფლობის დონეს. სასურველია, თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შეიქმნას ინდივიდუალური, მკაფიო და დეტალური შეფასების რუბრიკა (საკვანძო კითხვებზე დაყრდნობით), სადაც მოსწავლის ნაშრომი შეფასდება არა ზოგადად, არამედ იმ კონკრეტული ფუნქციურ-კომპონენტური უნარების მიხედვით, რასაც მოცემული დავალება მოითხოვდა. პედაგოგებმა ფოკუსი გადაიტანონ აღწერილობით და კონსტრუქციულ განმავითარებელ შეფასებაზე. შაბლონური ფრაზების ნაცვლად, უკუკავშირში ნათლად უნდა გამოჩნდეს სამი კომპონენტი: სად იმყოფება მოსწავლე ახლა (მიღწევა), რა არის მისი მიზანი (სტანდარტი) და კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადადგას მიზნის მისაღწევად (სტრატეგია). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ორივე სექტორზე,მასწავლებლები იცნობენ ესგ–თი განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შემუშავებული აქვთ და იყენებენ სხვადასხვა სახის განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს. ეს მათ ეხმარება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში. განმავითარებელი შეფასება მასწავლებლებს ეხმარება გამოავლინონ მოსწავლის პოტენციალი და დაგეგმონ ცოდნისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისა და განვითარების გზა. ასევე, აღსანიშნავია, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ესთეტიკის კათედრაზე, ვინაიდან აქ პროცესში მეტად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შემოქმედებითი ხედვის გათვალისწინება.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი აქვთ როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებში დაკონკრეტებულია შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები. შეფასების აღმწერები მკაფიო და არაორაზროვანია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრაზე შემუშავებული შეფასების რუბრიკის ნიმუშები. ორივე სექტორის სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. შემოქმედებითი ტიპის დავალებაზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. ორივე სექტორზე კათედრამ წარმოადგინა სამიზნე ცნებებზე ორიენტირებლი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემების მიხედვით, ასევე წარმოადგინა ზოგადი შეფასების რუბრიკები (თვითშეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის). კათედრამ წარმოადგინა ასევე დიაგნოსტიკური შეფასებები, თვითშეფასებები და ურთიერთშეფასებები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ და ერკვევიან შეფასების მეთოდებსა და ინსტრუმენტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	ორივე სექტორზე წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა დავალების შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე ცნებებთან მიმართებით. კათედრა აგრძელებს ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკების შექმნას, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. **რჩევა: სასურველია მომდევნო სასწავლო წლისთვის მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან, ასევე ზრდის შეფასების ვალიდურობას, სანდოობასა და სამართლიანობას.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას, ორივე სექტორზე წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **რჩევა - სასურველია ორივე სექტორზე, ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *შეფასების ვერიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია*
- *რემედიაციის პროგრამის დოკუმენტაცია*
- *სასწავლო პროცესის შეფასება;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *დიაგნოსტირება (რუსული სექტორი-დაწყებითი);*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა2025-2026;*
- *მონიტორინგის ცხრილი 2024-2025;*
- *სტრუქტურული ერთეულების ოქმები*
- *ინკლუზიური განათლების ანგარიშის წერილი;*
- *შიდა მონიტორინგის დასკვნა 2024-2025;*
- *ურთიერთშეფასების და თვითშეფასების დოკუმენტები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (რუსული სექტორი)	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (რუსული სექტორი)*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (რუსული სექტორი)*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ორივე სექტორზე მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარებაზე. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება.იგეგმება ინტეგრირებული გკვეთილები , ურთიერთდასწრება .დირექტორის დასწრება, საკუთარი გაკვეთილების რეფლექსია. სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ორივე სექტორის სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და პრინციპებს. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმები, სამოქმედო გეგმა, მონიტორინგის შედეგები. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი აანალიზებენ მონიტორინგის შედეგებს, ერთმანეთს აძლევენ

	კონსტრუქციულ უკუკავშირს დაითვალისწინებენ ახლი კურიკულუმის შემუშავების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ორივე სექტორის სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებსა და მიზნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრასთან ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის (მიზნები, თემატიკა, ძირითადი საკითხები და ა.შ.) შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულობას, სისტემურობასა და მიზნობრივობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის მიმართულებით ორივე სექტორზე შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები, სადაც გაწერილია სავალდებულო თემები, კონტექსტ მაგალითები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, რესურსები და შემოქმედებითი დავალებები. გაწერილი კურიკულუმები რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესის წარმართვისას. ინტერვიუზე მასწავლებლებმა ისაუბრეს კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებების მიმდინარეობის პროცესზე. გარდა ამისა, მოსწავლეები ასრულებენ მრავალფეროვან შემოქმედებით დავალებებს, მინი პროექტებს, უტარდებათ გასვლითი გაკვეთილები. წარმოდგენილია დამადასტურებელი მასალა ფოტოებისა და პრეზენტაციების სახით. სკოლაში ხორციელდება ასევე ინტეგრირებული პროექტები. ეწყობა გამოფენები. ოსწავლეები ჩართული არიან სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში სხვადასხვა სახით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია, დაგეგმილი კურიკულუმი როგორ დაინერგება სასწავლო პროცესში. შემუშავებული აქვთ თანამშრომლობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები,

	რომლებიც კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგს, შესწავლასა და განვითარებას ემსახურება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან: მტკიცებულებებიდან, თვითშეფასების ანგარიშიდან, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან და ინტერვიუდან გამომდინარე, დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები ("ჩემი საგვარეულო ხე და სიმრავლეები" - ოჯახის წევრთა სიმრავლეების და მათი გადაკვეთის ასახვა ვენის დიაგრამით."ამინდის დღიური" - ერთი კვირის ტემპერატურის მონაცემების დამუშავება, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლა და გრაფიკული გამოსახვა."გეომეტრიული ალგებრა" - შემოკლებული გამრავლების ფორმულების (მაგ. კვადრატების სხვაობა) ვიზუალიზაცია ფერადი ქაღალდების ფართობების მეშვეობით."განძის რუკა" - კოორდინატთა სისტემის გამოყენებით რუკის შედგენა, სადაც "განძის" პოვნა შესაძლებელია განტოლების ამოხსნით მიღებული წერტილების შეერთებით. "ახალგაზრდა არქიტექტორი" - გეომეტრიული ფიგურების (სამკუთხედების, წრეწირების) გამოყენებით შენობის ფასადის დაპროექტება და აგების ამოცანების შესრულება.) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	ორივე სექტორზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმის დაგეგმვა/განხოცრიელების გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები. (თამაშები, ქვიზები, ინტერაქტიული აქტივობები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით) . ასევე აქტიურად თანამშრომლობენ სხვა კათედრებთან და გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს/პროექტებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან დგინდება,რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე და ახორციელებს შესაბამის მიდგომებს სასწავლო პროცესში. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს სკოლა სთავაზობს დამატებით მხარდაჭერას რემედიაციის პროგრამის სახით. მოსწავლეთა ფსიქო- სოციალური პრობლემების გადასაჭრელად სკოლა სთვაზობს ფსიქოლოგის მომსახურებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალსწინებით ხორციელდება კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა და განხილვა კათედრებზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალებების მოდიფიცირება ფორმის და შინაარსის მიხედვით. სწავლა-სწავლების პროცესში მუდმივად ხორციელდება კურიკულუმის დანერგვაზე დაკვირვება და შესაბამისი ინტერვენციების შემუშავება. სკოლა იყენებს უკუკავშირის ისეთ მექანიზმებს როგორიცაა პედაგოგიური საბჭოს სხდომები, მშობელთა შეკრებები, სადამრიგებლო საათები, რაც უზრუნველყოფს საჭიროებების დროულად იდენტიფიცირებას. არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა, მშობლებისა და პედაგოგიური გუნდის მხრიდან გამოვლენილ საჭიროებებზე სკოლა დროულად რეაგირებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა კათედრის მიერ, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის,შეფასებას სამი კომპონენტით ახორციელებენ, საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი დავალებები. სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. დოკუმენტაციის ანალიზის, კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრას აქვს ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი. აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც დეტალურად არის გაწერილი რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს პედაგოგის მიერ გაწერილი შეფასების ინსტრუმენტი. კათედრას წარმოდგენილი აქვს ორივე სექტორის ზოგადი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის) შეფასების რუბრიკები. გადმოგზავნილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა, მონაწილეობენ ვერიფიკაციის პროცესში და აქვთ მზაობა ერთმანეთთან თანამშრომლობით და კონსტრუქციული უკუკავშირით ეს პროცესი უფრო მოქნილი გახადონ. **რჩევა**: სასურველია ორივე სექტორის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე(სამიზნე ცნება) და დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	ორივე სექტორზე, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და განვითარების დინამიკის დასადგენად, სკოლაში მოქმედებს შეფასების კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს დიაგნოსტიკურ, განმავითარებელ და განმსაზღვრელ ფორმებს. შეფასების პროცესის დაგეგმვა და მართვა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, საგნობრივ სტანდარტებსა და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. ამ კონტექსტში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო საჭიროებების საწყის ეტაპზევე იდენტიფიცირებას: კათედრა ახორციელებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლის სისტემაც ეფუძნება ვალიდურობისა და ობიექტურობის პრინციპებს. **რჩევა:** სასურველია, ორივე სექტორზე, სამივე საფეხურზე, კათედრამ უზრუნველყოს დიაგნოსტიკური შეფასებების გარკვეული სიხშირით (ყოველი ახალი თემის ან სასწავლო მოდულის დაწყებამდე) ჩატარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ორივე სექტორზე მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვაგვარ შეფასების საშუალებებს. წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მუსიკასა და ხელოვნებაში, რომლებიც გამოყენება სასწავლო პროცესში. მოსწავლეები იცნობენ შეფასების რუბრიკებს, შესაბამისად, შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე. შესაფასებელი დავალებებები ფორმულირებულია გასაგებად. გადმოგზავნილია ასევე შემაჯამებელი დავალებები თავისი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც ასევე, ვალიდურია. სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი და მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ ვერიფიკაციის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლას წარმოდგენილი აქვს ვერიფიკაციის მექანიზმები. გამოყოფილია ვერიფიკაციის მიმართულებები, განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები, დასმულია

	მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებებისა და შეფასების ინსტრუმენტების ხარისხის შეფასების საკითხი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კათედრა იყენებს როგორც დიაგნოსტიკურ, ასევე განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს, ამას მოწმობს წარმოდგენილი გა ნმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამასთან, სკოლაში არსებობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი შეფასები ს სისტემის მახასიათებლები. ინტერვიუების შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობები ფასდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც მო სწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა ხასიათდება სანდოობითა და გამჭვირვალობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	ორივე სექტორზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს, იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ორივე სექტორის კურიკულუმში წარმოდგენილი სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე ორიენტირებული შეფასების

	რუბრიკები ხელს უწყობს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებელთა შეფასების პროცესი სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. □რივე სექტორზე შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. ორივე სექტორზე მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე დგინდება ,რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური,გამჭვირვალე,სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი(ბრძანება N 2-52 10.02.2026 წელი) და სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება აღნიშნული დოკუმენტის,სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპებისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საგნობრივ კათედრებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლა-სწავლების პროცესის პერიოდულ ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას. სკოლაში არსებობს მოსწავლეთა კომპლექსური შეფასებისა და წახალისების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა სათანადო შეფასებასა და აღრიცხვას ელექტრონულ ჟურნალში, რომლის მონიტორინგი პერიოდულად ხორციელდება. წინა წლების დოკუმენტაცია, კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები, კლასების და საგნების მიხედვით ფორმები შენახული და დაცულია სკოლის არქივში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ინსტრუმენტი*
- *შეფასების რუბრიკები*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *დიაგნოსტირება*
- *რემედიაცია*
- *სასწავლო პროცესის შეფასება;*
- *მონიტორინგის ცხრილი 2024-2025;*
- *სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმები*
- *შიდა მონიტორინგის დასკვნა 2024-2025;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026(დანართებით);*
- *შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები/შეფასება;*
- *შემოქმედებითი დავალებების ამსახველი მასალა;*
- *კათედრის ანგარიში;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები არის სახელმძღვანელო და ელ. რესურსები, პლაკატები, მულაჟები. ლაბორატორიაში არის კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობებისთვის საჭირო ჭურჭელი, რეაქტივები და ხელსაწყოები, მულაჟები. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნერებების კათედრის ორივე სექტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს რომ, გრიფმინიჭებული და/ან განათლების სამინისტროს მიერ აღიარებული სახელმძღვანელოების გარდა იყენებენ სამუშაო რვეულებს, რუკებს, გლობუსებს, პოსტერებს, დამატებითი ელექტონული სასწავლო რესურსებს (ონლაინ ვიდეო რესურსები, ძირითადად YouTube-ზე განთავსებული ბმულები). სკოლას აქვს კომპიუტერები, ინტერნეტი, პროექტორი, რაც საინტერესო და მრავალფეროვანი გაკვეთილების ჩატარებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე სექტორზე, სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით. წინასწარ განსაზღვრული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების ეფექტიანად მიღწევას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ორივე სექტორის ყველა საფეხურის კურიკულუმში თემების შესაბამისად გაწერილია და გამოიყენება ძირითადი სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით. კათედრაზე ხდება იმ დამატებითი რესურსების შერჩევა, რასაც გამოიყენებენ სასწავლო პროცესში. მასწავლებლები დამხმარე რესურსის სახით იყენებენ ელექტრონულ რესურსებსაც. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებულად მუსიკის

	გაკვეთილების დროს, თემის შესაბამისად იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ რესურსს, როგორცაა: მოსასმენი მასალა, ინტერნეტრესურსები, ასევე ტელესკოლის ჩანაწერები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლა სახელმძღვანელოს იყენებს ძირითად სასწავლო რესურსად. გარდა ამისა, წარმოდგენილი აქვთ მრავალფეროვანი დამხმარე რესურსი, მათ შორის მულტიმედიური ტექსტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	საგნობრივი კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი და ზოგიერთ კლასში მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსების ბმულები, მათემატიკური სიმულაციების ციფრული პლატფორმები, რომლიც გამოყენებასაც გეგმავს მასწავლებელი სასწავლო მიზნების მისაღწევად და მოსწავლეთა დასაინტერესებლად. **რჩევა: ყველა კლასისი კურიკულუმში გაითვალისწინონ ის მრავალფეროვანი ციფრული რესურსები, რომლეის გამოყენებასაც გეგმავს მასწავლებელი.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	ორივე სექტორის კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლა ფლობს კომპიუტერულ ლაბორატორიას, რომელიც აღჭურვილია 132 ერთეული კომპიუტერით. სკოლას აქვს 39 პერსონალური და 94 პორტატული კომპიუტერი, 12 პროექტორი და 10 პრინტერი. სკოლაში არის 1 ჭკვიანი დაფა და 3 ტელევიზორი,

	რომელსაც საგაკვეთილო პროცესში იყენებენ სხვადასხვა აქტივობებისთვის. წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას ორივე სექტორზე ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ იყენებენ სხვადასხვა რესურსებს. **რჩევა - სასურველია ორივე სექტორზე დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ.ბმულები.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს დამატებითი რესურსების ვალიდაციის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ორივე სექტორის საგნობრივი კურიკულუმების რესურსებში ასახულია სახელმძღვანელოები, რომლებიც გრიფმინიჭებულია და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ. კათედრას აქვს მზაობა თავად შექმნან დამატებითი რესურსები და მოახდინონ მათი ვალიდაცია შესაბამისი წესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე სექტორზე კურიკულუმით გათვალისწინებული დამხმარე რესურსი შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან. რესურსი შერჩეულია მიზნობრივად თემატური ერთეულების მიხედვით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებმა იციან რესურსის შერჩევის სტრატეგიები და დიდ ყურადღებას აქცევენ სანდოობას, მოქნილობას, სამიზნე ჯგუფის თავისებურებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა/ვალიდაცია ხდება კათედრის სხდომაზე, რაც ასახულია კათედრის სხდომის ოქმში. კურიკულუმებში, გარდა ძირითადი რესურსისა, თემების შესაბამისად გაწერილია დამატებითი დამხმარე რესურსებიც, მათ შორის ელექტრონულიც. ელექტრონული რესურსები მიწოდებული აქვთ სამინისტროს მიერ და იგულისხმება, რომ ვალიდურია. ასევე, იყენებენ სხვა ინტერნეტრესურსებსა და ტელესკოლის ჩანაწერებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი აქვთ კათედრის სხდომის ოქმი, რომელშიც განსახილველ საკითხებს შორისაა დამატებითი რესურსების ვალიდაციის საკითხი. ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს, რომ რუსულ სექტორზე ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებისას იყენებენ მათ მიერ შექმნილ მასალას, რომლის ხარისხისა და სანდოობის შეფასებაც კათედრაზე ხდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას ორივე სექტორის სამივე საფეხურზე, შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. ის შეთანხმებულია კათედრაზე, რაც დასტურდება კათედრის N1 ოქმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	ორივე სექტორზე საგნობრივი კურიკულუმის წაარმოდგენილია ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	საგნობრივ კათედრაზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს ორივე სექტორზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ორივე სექტორზე მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის საკითხის განხილვა ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს ლაბორატორია და კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობებისთვის საჭირო ჭურჭელი, ხელსაწყოები, მულაჟები და რეაქტივები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ორივე სექტორის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, ძირითადი მატერიალური რესურსი სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულებია. ისინი გამდიდებულია ტექსტებით, რუკებით, ცხრილებით, დიაგრამებით, რომლებიც სხვადასხვა

	სააზროვნო და შემოქმედებითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს. სკოლას ასევე აქვს რუკები, გლობუსები, თვალსაჩინოება, ინტერნეტი, პროექტორი, კომპიუტერები, რომლებიც დამატებითი ციფრული რესურსები, სრომლებიც დამატებითი ციფრული რესურსების გამოყენების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე სექტორზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამხმარე ციფრული რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ორივე სექტორზე კურიკულუმებში გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა რესურსი, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული. მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია ყველა მასალა: გრიფირებული სახელმძღვანელოები, მოსასმენი მასალები. ვინაიდან ხშირ შემთხვევებში მასწავლებლები იყენებენ დამხმარე ელექტრონულ რესურსებს, მათ აქვთ საშუალება გამოიყენონ სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, რომელთა რაოდენობა შეესაბამება ნორმებს და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, სათანადო გარემოა შექმნილი, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგები იქნას მიღწეული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული

	რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი სრულყოფილია. შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას და განსაზღვრული შედეგების მიღწევას.მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლა, ორივე სექტორის კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს მოწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და შესაბამისი მატერიალური რესურსით - კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აკმაყოფილებს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები, კურიკულუმებში ჩანს, რომ ორივე სექტორზე იყენებენ ელ.რესურსებს, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. **რჩევა: სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დრო).** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის განხორციელებას. სკოლაში დასაქმებული პედაგოგები ფლობენ შესაბამის საგნობრივ განათლებასა და პროფესიულ სტატუსს (უფროსი, წამყვანი), რაც დასტურდება მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლით. თითოეულ საგანს ასწავლის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პედაგოგი.

თუმცა, რუსულ სექტორზე, დაწყებით საფეხურზე გამოიკვეთა, რომ საგანს „მე და საზოგადოება“ ასწავლის დაწყებითი კლასების პედაგოგი, რომლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას („ზოგადი განათლების“ შესახებ კანონი - მუხლი 213; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის №108/ნ ბრძანება „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ – მუხლი 11).

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (შრომითი ხელშეკრულება მოწვეულ მასწავლებელთან, მასწავლებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები) რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. კერძოდ, სკოლაში, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მოწვეული მასწავლებლის სტატუსით, დასაქმდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა, საათობრივი დატვირთვის იმგავარად გადანაწილება, რომ საგანს „მე და საზოგადოება„ ასწავლის კანომდებლობით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე პედაგოგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *დიაგნოსტირება*
- *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი*

- *რემედიაცია*
- *სასწავლო პროცესის შეფასება;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (კონცეპტუალური ნაწილი) 2025-2026 საბოლოო;*
- *შეფასების რუბრიკები*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025;ერთწლიანი სამოქმედო გეგმა2025-2026;*
- *მონიტორინგის ცხრილი 2024-2025;*
- *მემორანდუმი რობაქიძის უნივერსიტეტთან;*
- *სტრუქტურული ერთეულების ოქმები*
- *ინკლუზიური განათლების ანგარიშის წერილი;*
- *შიდა მონიტორინგის დასკვნა 2024-2025;*
- *მშობლებთან ურთიერთიბის დებულება;*
- *საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026(დანართებით);*
- *კლუბების მუშაობის ამსახველი მასალები მასალები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (რუსული სექტორი)	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (რუსული სექტორი)*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (რუსული სექტორი)*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, მის განვითარებაზე პასუხისმგებული პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად. კურიკულუმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობით ხდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ კურიკულუმის მინიტორინგი და შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით. კერძოდ, კათედრის მიერ ხორციელდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, შეფასების რუბრიკების

გამოყენებით. შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება იძლევა კურიკულუმის ეფექტურ განხორციელებასა და პრობლემის გადაჭრის საშუალებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

1. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას .სკოლას აქვს გამოცდილება, რომ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებით გამოკვეთოს პრობლემა, დაადგინოს საჭიროება და მოახდინოს ეფექტური უკუკავშირი. სკოლაში ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შედეგების ანალიზი, დაკვირვების შედეგები განიხილება მასწავლებელთან ერთად და გაიცემა რეკომენდაციები მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და გასცემენ განვითარებაზე ორიენტირებულ, არგუმენტირებულ უკუკავშირს. მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით პედაგოგები, კათედრის წევრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს, შემაჯამებელ დავალებებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს. გამოკვეთენ პრობლემურ საკითხებს და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობენ გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვიტარების მეთოდოლოგია*
- *სასწავლო პროცესის შეფასების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების დოკუმენტაცია*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ინტეგრირებულად, ერთიანი, სისტემური მიდგომით და ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. კერძოდ, მოსწავლის აკადემიური, პიროვნული, ფსიქო-ემოციური, ძლიერი და სუსტი მხარეების, ინტერესების, კრიტიკული აზროვნების, კრეატიულობის, შემოქმედებითობის განსასაზღვრად თითოეული კათედრა იყენებს შეფასების რუბრიკებს, შემოქმედებით დავალებებს, მოსწავლეების მიერ შექმნილ სასწავლო პროდუქტებს . სკოლა წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ატარებს დიაგნოსტიკურ წერას, რომლის ანალიზის შედეგები აისახება მომდევნო წლის დაგეგმვისთვის.მოსწავლეთა შეფასება დაწყებით საფეხურზე ხორციელდება განმავითარებელი (I-IV და V კლასის პირველი სემესტრი) და განმსაზღვრელი (V კლასის მეორე სემესტრი-XII კლასები) შეფასების რუბრიკებით, ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრები ცალკეულ ინსტრუმენტებზე და პრაქტიკებზე დაყრდნობით აწარმოებენ ჰოლისტურ შეფასებას. შეფასება არის ინტეგრირებული და ერთიანი და ამასთან, მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის მიერ ყველა საგანში გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა და მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად, მაგ: ფსიქო-ემოციური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე,

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე სექტორზე(ქართული და რუსული სექტორი) შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლაში მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი ანალიზის ფორმები, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შეფასებები მოსწავლეების მიერ შესრულებული წერილობითი დავალებები, პოსტერები, კომიქსები. ყოველდღიურ სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ აქტიურად ხორციელდება დაკვირვება, საუბრები, უკუკავშირის გაცემა რომელიც აჩვენებს როგორ განუვითარდათ მოსწავლეებს სააზროვნო უნარები და საგნობრივი ცოდნა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. გასაუბრებისას გამოიკვეთა კათედრის წევრთა მზაობა ურთიერთდაკავშირებულად, სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით შეძლონ დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მაგალითად, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *კვლევის ანგარიში შეფასების შესახებ*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (რუსული სექტორი)	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (რუსული სექტორი)*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (რუსული სექტორი)*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მხარდაჭერის პროცესი. შესაბამისად, სკოლა ქმნის მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრების ჩართულობას მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას, რაც აღნიშნული დოკუმენტის სკოლის საჭიროებებზე მორგებას უზრუნველყობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და მხარდაჭერის პროცესი, ჩართული მხარეების ფუნქცია-მოვალეობები, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ორივე სექტორზე საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. კერძოდ, მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, საუკეთესო პრატიკულ მაგალითებას/ აქტივობებს, სასკოლო საზოგადოების რეკომენდაციებს, შემაჯამებელი და შემოქმედებითი დავალებების, დიაგნისტირების შედეგებს და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
შეფასება:

- *დიაგნოსტირების დოკუმენტები*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სასწავლო პროცესის შეფასების, თვითშეფასების დოკუმენტაცია*

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (რუსული სექტორი)	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (რუსული სექტორი)*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (რუსული სექტორი)*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 24.07.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: